

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia



www.hcoj.gov.ge

E-mail council@hcoj.gov.ge



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia


E-mail council@hcoj.gov.ge

www.hcoj.gov.ge

Tel (+99532) 2 273 100

Fax (+99532) 2 273 101

12 Bochorma str. 0144, Tbilisi, Georgia



კონსტანტინე კუბლაშვილი

მოგესალმებით კვირფასო კამითხველო.

წინამდებარე ბროშურის მიზანია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც სასამართლო რეფორმის წამყვანი ორგანოს, საზოგადოებისათვის უფრო ახლოს გაცნობა, სახელმწიფო ორგანოებს შორის მისი ადგილის, როლის, ფუნქციების, შემადგენლობისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული წარმოადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს, რაც გულისხმობს საბჭოს საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდას, საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავებასა და მათი ინფორმირებულობის დონის ამაღლებას.

უდიდესია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი სასამართლო რეფორმის ახალი ტალღის წარმატებით განხორციელებაში. მოხარული ვარ, რომ დღეისათვის სახეზეა ის მნიშვნელოვანი შედეგები, რაც თანმიმდევრულად აისახება სასამართლო ეფექტურობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებაზე. სასამართლო რეფორმამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ჩვენ შევძელით გარდატეხა შეგვეტანა სასამართლო სისტემაში და იგი სულ უფრო მეტად უახლოვდება სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სტანდარტებს.

ვფიქრობ, პირველ რიგში, საზოგადოებამ, ხალხმა უნდა შეაფასოს ჩვენი საქმიანობა, მათ, ვისაც შეხება ჰქონიათ სასამართლოსთან. მართლმსაჯულების საქმიანობით საზოგადოების კმაყოფილების დონე სულ უფრო იზრდება, რასაც ადასტურებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები. ეს არის ხუთწლიანი მძიმე შრომის შედეგი, რომელიც დღეს დადგა.


2005 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმის ახალი ტალღა გადამწყვეტ ფაზაში შედის. ძირითადად განხორციელებულია რეფორმის კონცეფციით გათვალისწინებული პრიორიტეტები. მაქვს იმის უფლება განვაცხადო, რომ დღეის მდგომარეობით სასამართლო რეფორმის ძალიან დიდი ნაწილი დასრულდა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი გეგმის უმთავრესი მიზანი შესრულდა - ჩამოყალიბდა ახალი სისტემა და ის ფუნქციონირებს საკმაოდ გამართულად. სისტემა, რომელიც ჩვენ შევქმენით, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების წინაპირობაა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო კვლავაც აქტიურად აგრძელებს სასამართლო სისტემის რეფორმის პროცესს. ერთ-ერთი უმთავრესი, რაც მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს, მოსამართლეთა უვადო დანიშვნაა. აღნიშნულისათვის სამართლებრივი ბაზა უკვე შექმნილია და მიმდინარეობს ამ პრინციპის პრაქტიკაში დანერგვისთვის აუცილებელი სამუშაო პროცესი.

გვსურს კიდევ უფრო გავამარტივოთ და სწრაფი გავხადოთ მართლმსაჯულება, რისთვისაც გადავდივართ ელექტრონულ საქმისწარმოებაზე. განსაკუთრებული აქცენტები კეთდება მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსამართლეების მხარეებთან კომუნიკაციაზე.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენი ძალისხმევა წარმატებული იქნება და მივიღებთ ისეთ სასამართლო სისტემას, რომელიც იქნება თქვენი კანონიერი ინტერესების დამცველი და თითოეული თქვენთაგანი თავად იგრძნობს დამოუკიდებელი, ობიექტური და სამართლიანი სასამართლოს არსებობას ქვეყანაში.

კონსტანტინე კუბლაშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე,
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე



E-mail: council@hcoj.gov.ge

www.hcoj.gov.ge